№ 38 21 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1879 21 თებერვალი, ოთხშაბათი № 38

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Цалкэ ნომერი ლირს შაურად.

დროება

უოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი სტრიქონებით ახოზე—1 კაპ., ... სტრიქონზე—8 ... ...

მოსავალი ამ წარმოდგენისა გადასდვან დამშეულ ქობულელთლების სასარგებლოდ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ აგრეთვე, რომ ამავე მიზნით ლიტერატურული საღამოს გამართვასაც აპირებენ, რომელშიაც, ᲮᲒᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲗ. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲪ მიიღებს მონაწილეობასაო.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი საზოგადოება სრულს თანაგრძნობას გამოუცხადებს ᲗᲘᲗ პირთ, რომელნიც ამისთანა ქველის მიზნით და სამადლო საქმისათვის იშრომენენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წარმოდგენაზედაც და სალიტერატურო საღამოზედაც ზალა სავსე იქნება ხალხით..

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ და ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲛ გვწერენ რომ ამ ქალაქებშიაც იმართება წარმოდგენები ქობულეთლებისათვის. ᲘᲛᲔᲓᲘ გვაქვს, რომ ამ ქალაქებს უკან არ ჩამორჩებიან არც დანარჩენი ქალაქები საქართველოსა.. ᲐᲡ საზოგადო საქმეა. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მხრიდამ არის საჭირო დახმარება და ხელის-მომართვა გაჭირებულებისა.

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი პატარა შენიშნვა იმაზედ, რომ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ სამასწავლებლო ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ საქართველოს ისტორიის სწავლება დაიწყესო. ᲐᲮᲚᲐ გვაცნობებენ რომ, სამწუხაროთ, ეს ამბავი მართალი არ ყოფილა. ᲮᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲗᲘᲡ, როგორც მოგეხსენებათ, დაარსებულია საქალაქო შკოლა, რომელიც განსაკუთრებით იმისთვის არის გამართული, რომ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ უფროს განყოფილების ყმაწვილებმა სწავლაში გასავარჯიშებელად აქლიონ აქ გაკვეთილები. ᲐᲘ ამ საქალაქო შკოლაში ერთს ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ შაგირდს მიუცია რამდენიმე გაკვეთილი საქართველოის ისტორიისა.

რაიცა შეეხება თვითონ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ სწავლებას საქართველოს ისტორიისას,— ეს ეკუთვნის მომავალს და ჯერ-ჯეროობით ჩვენს ნატერას შეადგენსო,—ასე ამბობს ამ გარემოების მომწერი.

*** ᲗᲣ როგორი წესები სუფევენ სემინარიაში. სადაც ბატონობს უფ. ᲘᲕ. ᲥᲣᲕᲨᲘᲜᲡᲙᲘ, ამას, სხვათა შორის, შემდეგი ამბავიც გვიმტკიცებს:

ᲑᲐᲡᲣᲚ შაბათს, 17 თებერვალს, ერთი ზედამხედველთაგანი (ნადზირატელი) ამ სემინარიისა უფ. Ი—ვი უგრძნობელად დამთვრალი მისულიყო სემინარიაში და როცა საღამოს ლოცვაზე ყმაწვილები წაიყვანა, რადგან ბარბაცობდა, თვითონ კუნჭულში მიეკუჭნა და იქვე პირიდამ ასაქცევინა...

რა კარგი ზნეობითი გავლენა უნდა ექნეს, ამისთანა ზედამხედველს ჩვენს მომავალს სასულიერო მამებზე!...

*** ჩვენ გვწერენ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

„ᲘᲛ ურიების საქმე, რომელთაც ბრალდებათ ერთი შორაპნელი გლეხი-კაცის პატარა ქალის მოტაცება და მოკვლა, დაინიშნა 5 მარტისათვის.

„ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ არიან ᲪᲮᲠᲐ ᲣᲠᲘᲐ, მოწმეებად დაბარებულნი არიან ᲐᲡᲖᲔᲓ მეტი ურია და ქრისტიანი.

ᲣᲠᲘᲔᲑᲡ ჰყვანან ამორჩეულნი ექვილებად აქაური ადვოკატები: უფ. ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲞ ᲚᲝᲚᲣᲐ და ᲛᲝᲡᲔ ᲫᲘᲥᲝᲫ. რუსეთის ურიებიც დახმარებიან აქაურებსა ამ საქმეში, და უგზავნიან ორ სახელოვან რუსეთის ადვოკატს: უფ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡᲐ (ᲖᲐᲡᲣᲚᲘᲩᲘᲡ ქალის დამცველსა) და ᲙᲣᲞᲔᲠᲜᲘᲙᲘᲡ თავიანთ ხარჯითა. ᲓᲘᲓᲘ ყურადღება არის მიქცეული ჩვენი ასზოგადოებისა ამ საქმეზედ.

„ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗᲐ აქაურს ხალხში ის რწმუნება არის, რომ ნაძდვილად მოტაცებული და ტანჯვით მოკლული იყო ის პატარა ქალი ურიებისაგან. მოწამეებიც და თვით ადგილიც, საცა იპოვნეს პატარა ქალი, ამოწმებენ ამასაო.

„ᲛᲐᲒᲠᲐᲛ თავიდამვე გამოძ ება იყო ნაწარმოები ისე საძაგლად უფ. ᲐᲮᲣᲛᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ისე საძაგლად იყო შეძოწმება იმ პაწაწინა მსხვერპლის გვამისა, რომ ამ საქმეში ჭეშმარიტების აღმოჩენა და დამტკიცება უიმედოთ შეიქმნა. ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ აქტი პროკურორის ლიდოვისაგან არის შედგენილი ძალიან სუსტათა.

„ᲔᲠᲗᲘᲡ სიტყვით, არავისა აქვს ეჭვი, რომ, თუმცა სასამართლოში ქრისტიანი მოწამეები განიმეორებენ ფიც ქვეშ თავიანთ ჩვენებასა, მაგრამ მაინც ცრანიეე ბრალდებულნი გამართლებულნი იქნებიან.“

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, 9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ. ᲪᲮᲠᲐᲡ და ოც-და-ერთს წასრული თვისას და პირველ ამ თვისას აქ იყო წარმოდგენა ქართულ და რუსულ ენაზედ. წარმოადგინეს სცენის მოყვარე პირთა ქართულ ენაზედ: „ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲘᲡ ᲮᲐᲜᲘ“ და „ᲞᲔᲞᲝ“; ხოლო რუსულ ენაზედ: „Вспышка у домашняго очага“, „Жилецъ съ тромбономъ“, „Женитьба“ და „Растроенное дѣло“.

წარმოდგინის დროს კარგი დიდი და მოსრული ზალა სპექტაკლისა იყო მჭიდროთ გავსებული მაყურებლებით; ეს გარემოება, რასაკვირველია, სასიამოვნო არის, რადგან ამტკიცებს, რომ ჩვენი საზოგადოება არ ყოფილა გულ-გრილი კეთილი საქმისათვის. ᲗᲐᲛᲐᲝᲑᲗ კეთილის საქმისათვის იმიტომ, რომ ამ წარმოდგენების შემოსავალის მიზანი არის აქაური უფასო საქალებო შკოლის ხელის-მომართვა. სცენის მოწყობილება, რომლის მომართვაში დიდი მონაწილეობა მიიღო აქაურმა პოლკის აფიცერმა უ. ᲤᲐᲚᲔᲔᲕᲛ, იყო მშვენიერი და ამტკიცებდა, რომ როგორც პიესები, ეგრეთვე სცენის მოყვარე პირებიც უნდა ყოფილიყვნენ სასიამოვნონი.

მართლაც, უნდა სთქვას კაცმა, რომ ამ თავიდანვე ეს სამი სპექტაკლი, როგორც ქართულ ენაზედ, აგრეთვე რუსულზედ სასიამოვნოდ დარჩნენ მაყურებელი საზოგადოებისათვის. მომავალისათვის სანუგეშო ის არის, რომ ᲧᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, სცენის მოყვარენი კეთილ-სინიდისიანათ ეკიდებიან თავიანთ როლებს და სცდილობენ, რომ სასარგებლო საქმე სასიამოვნოსთან შეაერთონ.

პირველ კომედიაში — „ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲘᲡ ᲮᲐᲜᲘ“—საზოგადოთ ყველა აქტიორები კარგათ ასრულებდნენ თავიანთ როლებს. რასაკვირველია, ᲐᲡᲐᲜᲐ—უ. მესხიევი და დედა მისი—ᲤᲐᲢᲐᲜᲘ—ᲛᲙ. ᲑᲔᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ, როგორც გავარჯიებულნი სცენაზედ, იყვნენ თავიანთ როლებში. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ—ᲚᲔᲘᲚᲐ—Ნ. ᲣᲮᲠᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ; თუმც ეს ქალი პირველად გამოვიდა სცენაზედ, მაგრამ დიდ იმედს გვაძლევს, რომ მომავალისათვის უფრო შეუკეთესებული სცენის მოყვარე პირი იქმნება. ᲐᲮ იმედს ჩვენ ვაფუძნებთ იმის როლის მოთხოვნილებისამებრ სცენაზედ მიხრა-მოხრაზედ და სინიდისიან როლის და კოსტიუმის ყურადღებაზე. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲐ როლი ᲐᲠᲐᲑᲘᲡᲐ უ. ᲣᲮᲠᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

მეორე კომედიაში—„ᲞᲔᲞᲝ“— ისევ ზემოხსენებულნი პირნი თამაშობდნენ და აქაც რიგიანად ითამაშეს. ᲒᲐᲠᲓᲐ ამათი კარგად ასრულეს თავიანთი როლები: Ა. ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡᲐ როლი—ᲖᲘᲥᲝᲡᲐ, Ი. ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ როლი ᲐᲠᲣᲜᲘᲜᲐ ᲖᲐᲛᲖᲐᲛᲝᲕᲘᲡᲐ და უ. ᲗᲝᲜᲮᲐᲢᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ—როლი კინტოსა. ᲐᲡ უკანასკნელი როგორც კატიუმით აგრეთვე გამოთქმით და სცენაზედ მიხრა-მოხრით ნამდვილ კინტოს ემსგავსებოდა. მოსამსახურეებიც: თავ. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲝᲕᲘ და Ნ. ᲖᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲝᲕᲘ კარგათ ემსახურებოდნენ თავიანთ ალებს.

ᲮᲣᲗ ამ თვისას შეიკრიბნენ სცენის მოყვარე პირნი უ. მესხიევთან, რომელსაც საზოგადოდ ეკუთვნის ამისთანა საქმეებში მოთაურობა, შეადგინეს საზოგადოება სცენის მოყვარე პირთა, ამოირჩიეს რეჟისორები ქართული და რუსული სპექტაკლებისათვის და კასირი. რუსული სპექტაკლებისათვის ამოირჩიეს უ. ᲙᲝᲠᲜᲐᲙᲝᲕᲘ, ქართულ სპექტაკლებისათვის და კასირათაც უ. მესხიევი.

ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება სცენის მოყვარე პირთა საზოგადოებმით პიესების ამორჩევაზედ, პიესის ერთად წაკითხვაზედ და როლების სურვილისამებრ მოთამაშეთა დარიგებაზედ; ამ საგანზედ ჯერ არ არის ყურადღება მიქცეული სხვა და სხვა მიზეზებისაგამო; გარდა იმისა, როლის სინიდისიანათ შესწავლაზედ, თუმც სცენის მოყვარე პირს არ სურს, რომ სცენაზედ თავის ბუნებითი სცენიკური ნიჭი დაამახინჯოს.

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ჩვენი სურვილი კი იმაში მდგომარეობს, რომ სცენის მოყვარე პირთა ჩქარა გული არ გაუგრილდესთ. სცენის მოყვარეობა ისეთი საქმე არის, რომ ᲮᲨᲘᲠᲐᲗ შეიძლება უსიამოვნობის მიღება; მაგრამ, თუ რომელსამე პირს აქვს ჭეშმარიტი სიყვარული სცენისა და არ არის სულ-მოკლე, ყურადღებას არ მიაქცევს ამასა.

საზოგადოებას სცენის მოყვარე პირთა უნდა ქონდეს სახეში, რომ სცენას აქვს დიდი გავლენა როგორც ზნეობაზედ, აგრეთვე ჩვეულებაზედ მაყურებელი სა-

ზოგადოებისა. სცენის მოყვარე პირთ შეუძლიანთ, შეამცირონ კარტის თამაში ქალების და კაცების საზოგადოებაში, ეგრეთვე სხვა ცუდი ჩვეულებებიც.

ზემოხსენებულ სამი სპექტაკლიდამ შემოვიდა სულ 667 მან. 25 კაპ.

დაიხარჯა, როგორც სცენის მოწყობისათვის, აგრეთვე სხვა-და-სხვა სცენის საჭირო ნივთების შეძენისათვის (შეიძინეს სცენისათვის ხუთი სხვა-და-სხვა ფერის პარიკები, ჩექმები, ლენტები, ჩითები და სხვები), რომლების დაწვრილებითი სია ხუთ ამ თვეს წარუდგინა უ. მესხიევმა საზოგადოებას—423 მ. 65 კ.

გარდა ამისა 50 მან. გაგზავნეს გრიბოედოვის სტიპენდიისათვის და 170 მ. მისცეს სეკრეტარს აქაურ შკოლისას უ. ზარმეკელოვს, რომელსაც ეს ფულები გამოართვეს სცენის გასაწყობათ.

დანარჩენი ამ ზემორე-ხსენებულ ხარჯის გარდა 23 მ. და 60 კ. წაიღო ტფილისში უფ. მესხიევმა შესაძენათ სხვა-და-სხვა ნივთებისა სცენისათვის...

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ნაციონალურს კრებაში თებერვლის 5-ს ერთს ბონაპარტიელ დეპუტატ უკითხავს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, მოსწონს იმას თუ არაო, რომ პარიჟის ქალაქის გამგეობამ 100,000 ფრანკი შესწირა იმ პოლიტიკურ დამნაშავეების სასარგებლოდ, რომელთაც მთავრობამ აპატია დანაშაული და რომელნიც მალე საფრანგეთში უნდა დაბრუნდნენო. მინისტრმა მარსერმა ამის პასუხად სთქვა, რომ იმას დიახაც მოსწონს ეს კაცთ-მოყვარეობითი საქმე პარიჟის მუნიციპალურ რჩევისა; რადგან ეს ფული დანიშნულია იმ მუშებისათვის, რომელნიც ახალი კალედონიიდამ ბრუნდებიან; თვით მთავრობა აპირებს იმათ ხელის-მომართვას ამ თავით, სანამ საქმეს ვერ აიჩენენო.

ამავე სხდომაზე იყო მოლაპარაკება აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ პარიჟის არე-მარეში ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა ავაზაკობა და ხალხის ცარცვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მარსერმა სთქვა, რომ ავაზაკობის მოსასპობელად მომეტებული პოლიციის სალდათები დავაყენეთ ყარაულებათაო და საზოგადოთ ისეთი შიში არ არის, როგორც ხალხში გავრცელდა ხმაო.

ბოლგარია

ბელგიურს გაზეთს „ბელგიის თავისუფლებაში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, 10 თებერვალს მიღებული ტირნოვოდამ:

„დღეს გაიხსნა აქ ბოლგარიის წარმომადგენელთა კრება. რუსის კომისარმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ურჩია დეპუტატებს, რომ დაემორჩილონ ბერლინის ტრაქტატს, შეამუშავონ კონსტიტუციის პროექტი და თუ საჭიროთ დაინახვენ, შესცვალონ.

„პალატის გახსნის შემდგომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მიიპატიჟა ყველა დეპუტატები თავის სახლში, სადაც დიდი მეჯლისი იყო გამართული.

„ეს პირველი კრება ბოლგარიისა შესდგება სულ 230 დეპუტატისაგან, რომელშიაც 93 თვითონ ხალხისაგან ამორჩეული პირი ურევია; დეპუტატებში არიან აგრეთვე რამდენიმე ოსმალოებიც.

— ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, ბოლგარიას ჰყავს ამ ჟამად 20,000 მილიციის ჯარი, რომელიც კარგათ არის გაწვრთნილი და ომისათვის გავარჯიშებული. ამ ჯარს რუსის აფიცრები ასწავლიდნენო, ახლა კი თითქმის ყველა აფიცრები ბოლგარიელები არიანო.

რუსეთი

გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია ხარკოვიდამ მიღებული დეპეშა რომელიც გვაცნობებს, რომ ხარკოვის ღუბერნატორის თ. კრაპოტკინის მკვლელი იპოვნესო. ამავე გაზეთის სიტყვით, ხარკოვში დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ მკვლელობის მიზეზი სრულებით პოლიტიკური რამ გარემოება არ ყოფილა, სიყვარულის გამო მოკლესო, ვილაცას პირადი მტერობა ჰქონდაო.

—ადრიანოპოლიდამ მოსული ამბებიდამ სჩანს, რომ, თუმცა რესის ჯარები ჯერ კიდევ არ გამოსულან ამ ქალაქიდამ, მაგრამ ეს ქალაქი უკვე ჩაუბარებიათ ოსმალოს ღუბერნატორისათვის. არც ადრიანოპოლში და არც სხვა ქალაქებში და სოფლებში რუსების გამოსვლის დროს არავითარი უწესოება არ მომხდარაო.

—პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი შესაძრწუნებელი ამბავი:

„4 თებერვალს, საღამოს ტიხვინის უეზდის სოფ. ვრაჩევოს მცხოვრებლებმა დასწვეს ერთი ქვრივი დედაკაცი აგრაფენა იგნატიევისა, რომელსაც კუდიანობას აბრალებდნენ. გლეხებმა ჯერ ჩაუკეტეს კარები და ფანჯრები იგნატიევის სახლს, მერე წაუკიდეს ცეცხლი და ამნაირად გამოსწვეს დედაკაცი.

„გლეხები პირ-და-პირ გატყდნენ, რომ ჩვენ დავწვითო, რადგან კუდიანი იყოვო, ასე უნდოდაო.“

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

ბევრჯელ ყოფილა თქვენს გაზეთში მოხსენებული, რომ თ. ალექსანდრე წერეთელს სიკვდილის შემდეგ დარჩენოდეს ბევრი ძველი ქართული წიგნები—ხელ-ნაწერი, მაგრამ ალ. წერეთლის მემკვიდრეებმა უარი სთქვესო: არავითარი წიგნები ყოფილაო, ტყვილი ხმებიაო და სხვა.

ახლა მე გავიგე ნამდვილად, რომ კნეინა პელაგია წერეთლისას აქვს ეს ძველი წიგნები. სხვათა შორის ამ წიგნებში ურევია ერთი შესანიშნავი ეგზემპლიარი „ვეფხვის ტყაოსნისა“. ეს უკვდავი პოემა არის ხელ-ნაწერი, სქელ პერგამენტზე, მრავალი სურათებით შეკაზმული; ხელ-ნაწერი ძველის-ძველია. ამბობენ, რომ ახალ გამოცემულ „ვეფხვის ტყაოსანზე“ მომეტებულიაო; ეს დასაჯერებელი არის, რადგან ყოველი მხრიდამ გვესმის, რომ ესე შემოკლებით რათ ბეჭდავთ „ვეფხვის ტყაოსანსაო“. სურათები კი სუსტათ არის ნახატი; მაგრამ რანაირიც უნდა იყოს, ჩვენთვის ძვირფასი იქმნება ეს სურათები: პირველად როგორც გამაცნობელი იმ ეპოქის ტანთსაცმელისა და მეორედ ნათლად დაგვანახვებს—თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროინდელი ჩვენი ხელოვნება (მხატვრობა).

მე მსურს, თქვენი გაზეთის საშვალობით, შევატყობინო კნა პელაგია წერეთლისას, თუ რა დიდ სიკეთეს იქმს ის, რომ გასცემდეს ამ წიგნს დასაბეჭდათ; მსურველები ბევრნი გამოჩნდებიან.

ეს წიგნი იქმნება მგონია, პირველი სრული გამოცემა „ვეფხვის ტყაოსნისა“, მერმეთ სურათებით.. სურათებს შეაკეთებს და გაამშვენიერებს მხატვარი უ. როინოვი, რომელიც ღლისით სანთლით ეძებს ჩვენ ძველთაგან დანაშთენ სურათებს და მხატრობას.

ამ წიგნის გამოცემით კნ. პელაგია მიიღებს უგულითადეს მადლობას ქართული ლიტერატურის მოყვარულთაგან და ამ ლიტერატურისათვის მოღვაწეთაგან; უარის თქმა იმისაგან შეუძლებელია, რადგან ყოველი გონიერი კაცი იმას იტყვის, რომ გამოჩენილი აზრი, თხზულება ან ძველი შესამჩნევი ნაშთი, რომელიც ძველს, ბედნიერს დროს თვალ-წინ წარმოუდგენს ხალხს, თვით ხალხის საკუთრებაა და არა ცალკე პირისა. გარდამეტებული თავ-მოყვარეობა იქნებოდა იმის თქმა, რომ მაინც-და-მაინც მე მქონდეს ყუთში შენახული და სხვას კი არას დროს არ ვაღირსებ იმის შეხედვას, განხილვას და იმით სარგებლობასაო...

კოტოჩი

ქუთაისი, 18 თებერვალს

განცხადებანი

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგებელ კომიტეტისაგან.

რადგანაც „საზოგადოების“ შკოლაში ყველა ვაკანსიები დაჭერილნი არიან, ამიტომ არზის შემოტანა ამ ჟამად აღარ შეიძლება. ყმაწვილებმა, რომელნიც ჯერ არ ირიან მოყვანილნი, უთუოდ უნდა გამოცხადდნენ 24 თებერვლამდე, თუ არა და გამორიცხულნი იქნებიან სიიდამ. ზარედამ მოსიარულე მოწაფეთაგან რომელნი არიან განთავისუფლებულნი სწავლის ფასისაგან—ამის შეტყობა შეიძლება თვით შკოლაში.

(3—3)

თფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

(5—2)

კირუტყვთ მფარველობის საზოგადოების წევრნი და აგრეთვე ყველანი, ვისთვისაც ეს საგანი საინტერესოა, მოწვეულნი არიან მობრძანდნენ ამ საზოგადოების საერთო კრებაზედ, ამ თებერვლის 20-ს, კავკასიის სამკურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში, ბარაათინსკის ქუჩაზე.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაობა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაქერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

(5—4)

„ჰაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

ანგარიში
საბუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა
1878 წლისა

1 იანვარს 1878 წელსა იყო:

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილადი ფული — — —	1650	57	გასესხებული — — — —	3624	50
სასარგებლოდ შემოტანილი	2321	83	ნაღდ ფულად — — — —	727	97
სათადარიკო თანხა — —	21	65	საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი — — — — —	100	„
წმინდა მოგება — — —	458	42			
ჯამი	4452	47	ჯამი	4452	47

1878 წელს არის:

შემოსავალი.	მან.	კაპ.	გასავალი.	მან.	კაპ.
წილადი ფული — — —	871	64	წილადი ფული — — —	24	„
სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ახალი ვადის მიცემის დროს — — —	523	96	მოგება 1878 წ. წილადებზე მიცემული — — — — —	155	76
ჯარიმა — — — — —	12	97	გასესხებული — — — —	7174	„
დაბრუნებული სესხები —	5512	„	სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გადახდილის სესხისა — — — — — —	2	10
სასარგებლოდ შემოტანილი	155	76	სამმართველოს ხარჯი —	116	80
სათადარიკო თანხა — —	41	5	ალებ-მიცემობის გასავალი	165	79
ჯამი	7117	38	ჯამი	7638	45

1 იანვარს 1879 წელსა არის:

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილადი ფული — — —	2498	21	გასესხებული — — — —	5286	50
სასარგებლოდ შემოტანილი	2477	59	ნაღდ ფულად — — — —	206	90
სათადარიკო თანხა — —	62	70	საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი — — — — —	100	„
წმინდა მოგება — — —	554	90			
ჯამი	5593	40	ჯამი	5593	40

თავსმჯდომარე რჩევისა: თ. გიორგი ჯორჯაძე

წევრნი რჩევისა: ნინიკო მჭედლიშვილი, ლევან ბაქიაშვილი, სვიმონა ხეჩიაშვილი, ლაზარე ნერსესაშვილი, ივანე დათიაშვილი

მმართველნი: ვანო როსტომაშვილი, მამა ჩახტაუროვი, ნიკო კონჯოშვილი

9 თებერვალი 1879 წ. ს. ენისელი

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. **ზუგდ.** ორშ. და ხუთშ. **ოზურ.**—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ:** თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. **ოზურგეთს**—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) ..	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 20 თებერვ.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	30
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	40
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	50
მატყლი თუშური ფუთი.	6	60
—თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	40
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, გროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	30
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარ. ლევინი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. **ა. ბ** ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Февраля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. **ს. მელიქიშვილი.** რედაქტორი **ს. მესხი.**